დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - „უნივერსიტეტი“) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის (ტექსტში შემდგომ - „მოწვეული პერსონალი“) შერჩევის წესის (ტექსტში შემდგომ - „წესი“) მიზანია, უზრუნველყოს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მათი განხორციელების მიზნით პერსონალის მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, უნივერსიტეტისა და მოწვეული პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით.

2. წინამდებარე წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული პროცედურების დაცვით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალის მოწვევის უზრუნველყოფა განსაზღვრული ვადით კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად.

მუხლი 2. მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნეს:

ა) სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილით პრაქტიკული/პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება და შესაბამისი პროფილით მომუშავე პროფესორის/მეცნიერის/სპეციალისტის რეკომენდაცია;

ბ) სალექციო კურსის წასაკითხად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის/ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების (ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით) მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და/ან პუბლიკაციები/გამოფენები/ფილმები და/ან სხვა სახის აქტივობები შესაბამისი პროფილის მიხედვით.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნეს:

ა) სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, გამონაკლის შემთხვევებში

დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილით პრაქტიკული/პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება და შესაბამისი პროფილით მომუშავე პროფესორის/მეცნიერის/სპეციალიტის რეკომენდაცია;

ბ) სალექციო კურსის წასაკითხად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის/ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების (ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით) მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და/ან პუბლიკაციები/გამოფენები/ფილმები და/ან სხვა სახის აქტივობები შესაბამისი პროფილის მიხედვით.

3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნეს:

ა) სემინარული, პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პრაქტიკული/პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება და შესაბამისი პროფილით მომუშავე პროფესორის/მეცნიერის/სპეციალისტის რეკომენდაცია;

ბ) სალექციო კურსის წასაკითხად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის/ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების (ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით) მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და/ან პუბლიკაციები/გამოფენები/ფილმები და/ან სხვა სახის აქტივობები შესაბამისი პროფილის მიხედვით.

4. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად ენების შემსწავლელ ცენტრში, პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების ჩასატარებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, შესაბამისი უცხო ენის ცოდნის მაღალი კომპეტენცია, დარგობრივი ენების სწავლების გამოცდილება და/ან ტრენინგები/პუბლიკაციები/კონფერენციები ენის სწავლების მეთოდიკაში.

მუხლი 3. მოწვეული პერსონალის დასაქმების პროცედურა

1. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევას მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოკვლევით მიღებული მონაცემების საფუძველზე ახორციელებენ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის/მიმართულების/ინსტიტუტის/კათედრის/ცენტრის ხელმძღვანელი მოსაწვევი პირის (კანდიდატის) ავტობიოგრაფიის, კვალიფიკაციისა და შესაბამისი შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მონაცემების შესწავლის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურის განხორციელების შედეგად გამოვლენილ კანდიდატს შესაბამისი დასაბუთებით პროგრამის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის/მიმართულების/ინსტიტუტის/კათედრის ხელმძღვანელი წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი წარდგენილი კანდიდატისათვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით შუამდგომლობით მიმართავს თსუ რექტორს.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურის განხორციელების შედეგად გამოვლენილი კანდიდატისათვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ენების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელი შუამდგომლობით მიმართავს თსუ რექტორს.

4. რექტორის შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეულ პერსონალთან (შერჩეულ კანდიდატთან), მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით შრომით ხელშეკრულებას აფორმებს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.